



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №6

2014 წლის 7 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის გამარტივებული შესყიდვით, შატილის მიმართულებით განსახორციელებელი ავიარების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მიმართულებით ავიარების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ავიარების შესყიდვა რაც "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უნდა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2013 წლის 20 დეკემბერს განხორციელებული ავიარებით სოფელ შატილის საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები საშობაო არდადეგებთან დაკავშირებით გადმოყვანილ იქნენ ბარში.

სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით, საჭიროა მათი დაბრუნება სოფელ შატილში, რაც დიდთოვლობისა და რთული კლიმატური პირობების გამო გამო შეუძლებელია განხორციელდეს ავტო-სატრანსპორტო საშუალებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ავია-სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის(ფრენის) შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით 2014 წლის 17 იანვარს გამოცხადდა ტენრედი რაც არ შედგა. იმის გათვალისწინებით, რომ განმეორებითი ტენდერის ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, ხოლო საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი უკვე განახლდა, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს ზემოაღნიშნული შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელებას.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "შ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა მასზედ, რომ სასწავლო პროცესის განახლებასთან დაკავშირებით სოფელ შატილის საჯარო სკოლის

მასწავლებლებისა და მოსწავლეების დასაბრუნებლად, თვითმმართველი ერთეულის სახელით, გამარტივებული შესყიდვით აწარმოოს სოფელ შატილის მიმართულებით განსახორციელებელი ავიარეისის შესყიდვა.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

